№ 75

შაბათი, 7 აპრილი, 1901 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 75

შაბათი, 7 აპრილი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

კვირას, 8 აპრილს, მოლნინის წმინდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

გრიგოლ ივანეს ძის მირზოევის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყობა 11 საათზედ, პანაშვიდი 12¹/₂ საათზედ. (2—92—1)

მკურნალი-ქალი მარიამ სიმონის ასული ბაქრაძე, მისი და ნატალია, ელენე სიმონის ასული და შტაბს კაპიტანი სერგეი თეოდორეს ძე ვანლიარსკები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი სამი—ძვირფასის მამის, ხოლო უკანასკნელი სიმამრის

პოლკოვნიკის სიმონ ბაქრაძისას.

დასაფლავება განსვენებულისა შაბათს, 7 ამა აპრილს, მოხდება ალბულაღში. (1—93—1)

ქართული თეატრი

შაბათს, 7 აპრილს,

ქართულის დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

❋ საზოგადოების თხოვნით ❋

ნანა ჩხეიძისა და ვ. ალექსი-მესხიშვილის, ვ. გუნიას და თავ. ი. ბარათაშვილის მონაწილეობით

I

უბედური ნაზიკი

დრამა 3 მოქმედ. კარეევისა. თარგმ. შ. დადიანისა.

II

თავის ბრალია

ვოდევ. 1 მოქმედ. ვ. გუნიას თარგ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ნებიერიძისა, გარელი, კუნდელი, ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, თავ. ი. ბარათაშვილი, გუნია, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვანი.

ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი 8¹/₂ საათზედ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ი. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1¹/₂ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპკოვსკი.—6—7 საათ ნერვებით ავადმყოფთ (ელექტრო-ტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7¹/₂—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памяти Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მ. გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეჟიტგაზოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12¹/₂—1¹/₂ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1¹/₂—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ კოლლეჟსკი სოვეტნიკობა: ერევნის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს მდივნის თანამდებობის აღმასრულებელს ფარეიშვილსა და შორაპნის მაზრის ბოქაულს ბერეჟიანს; კოლლეჟსკი ასესსორობა—თიონეთის მაზრის მკურნალს ჯავახიშვილს, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უმცროს ორდინატორს თავ. თუმანიშვილს, ბაქოს მაზრის ბოქაულს ქიქოძეს და ქალაქ გორის ბოქაულს თავ. ავალიშვილს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—შორაპნის მაზრის მმართველის შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დადეშქელიანს, სენაკის სამაზრო სამმართველოს მოხელეს ვლადიმირ შევარდნაძეს, განჯის მაზრის ბოქაულს გურამიშვილს და ტფილისის ქალაქის პოლიციის ბოქაულს თავ. ნაკაშიძეს; კოლლეჟსკი სეკრეტრობა—ოზურგეთის სამაზრო სამმართველოს მოხელეს იაკინთე შევარდნაძეს, სენაკის სამაზრო სამმართველოს თარჯიმანს კალანდარიშვილს და ქალაქ ალექსანდროპოლის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. ხერხეულიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა—ოზურგეთის სამაზრო სამმართველოს მოხელეს თავად ნაკაშიძეს, თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ფურცელაძეს, ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს მოხელეს ქედენტს, ოზურგეთის სამაზრო სამმართველოს მოხელეს თავ. ნაკაშიძეს, და ერევნის ქალაქის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს ყვრიაშვილს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ლეჩხუმის მაზრის სოფლის მკურნალს თავ. ლორთქიფანიძეს.

დანიშნულ იქმნა ტფილისის გუბერნიის შტატს გარეშე მყოფი ზეითალი მრევლიშვილი სოფელ ფასანაურის ზეითალად.

ებოძათ: წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენი მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო

ფელეტონი

მარიამ შოტლანდელი

ხუთ-მოქმედ. დრამა
თხზ. ბერნსტერნ ბერნსონისა.
თარგმანი ინ-ანისა.
(შემდეგი *)

გამოსვლა III

დარნლეი (მარტო). რიჩჩიოსთან? რიჩჩიოსთან?! მეც ეხლავ მოვალ!.. ნუ თუ მოვკლა იგი დიდს დარბაზში, შოტლანდიის ლორდების წინ?!. არა, ითი მხოლოდ მას მოვუღებდი ბოლოს, დედოფალი-კი?.. იგიც უნდა შევძრწუნო, შიშით ვათრთოლო: მას ხომ მხოლოდ ის უყვარს, ვისაც შიში აქვს! თითონა სთქვა — ყავ ქმარი! დიაღ, ვიქნები, მაგრამ საქმე, რომლითაც ჩემს ვაჟკაცობას გამოვიჩენ, შეგზარავს, ბოლოდ გაქცევს! ლეტინგტონი მართალია, მართალია მორტონიც... მაგრამ სად არიან, ნეტა?.. რა? მადლობის გრძნობა? დედოფლის მიმართ? ისე დღე არ მახსოვს, რომ მას ჩემთვის არ დაეცინოს! უფლება წამართვა .. მე მხოლოდ სახელით და ვარ მეფე... ჩემი პატიოსნება შელახა, ჩემი უფლება სულ სხვას გადასცა. ჰხედავს იგი ჩემს მწუხარებას, ჩემს უბედურებასა და არ ჰფიქრობს მიხსნას, ზურგი შემომაქცია! (შუა გულ ოთახებიდგან მუსიკის ხმა ისმის). ოხ, ეს ხმები!.. ამ ნახევარ წლის წინად... ჯვრის წერის მეჯლისზედ... ვისმენდი მათ და ვერა ვძღებოდი... მათ სადღაც ჯადოსნურს, ბედნიერებისა და სიყვარულის ქვეყანაში გადავყვანდი!.. ეხლა-კი მარტოდ მარტო ვარ, შავი ფიქრები სულს მიშფოთებენ... ის-კი, იქ, ბრწყინვალე დღესასწაულში დარჩა... მისი ხელი სულ სხვას უპყრავს! შემოდგომა მალე დამიდგა. აქ, გულში, აღარ-რა არის, ყველა განიბნა და დაიჩრდილა... ოდესმე-კი მისთვისაც იყო გაზაფხული, ჰყვაოდნენ ვარდნი, მაგრამ ნაყოფს ველარ ველირსე! (მუსიკის ხმა უფრო ძლიერ ისმის). იქ-კი... იმდენი სიხარული, სიტკბოებაა! მაცა, მოიცა... დადგება ის ღამეც, როდესაც მე ჩემის ერთგულის, მთლად ფოლადში გამოწყობილის, მეომრები „ თავს დაგესხმები,—აელვარდება მახვილი მაშინ და სისხლის ნაკადული მოჰსკდება!.. მაშინ ითრთოლებ ჩემ წინ, ჩემო ამაყო დედოფალო!.. ლეტინგტონი?!. განა აზრიც-კი, ნაფიქრი მხოლოდ, არ იმალება?

გამოსვლა IV.

დარნლეი, ლეტინგტონ.

ლეტინგტონ. ეს-კია მოწმე ვიყავ ერთის შემთხვევისა, რომელმაც ყველა დიდად გააკვირვა. დედოფალი...

დარნლეი. დედოფალი?!.

ლეტინგტონ. ...დარბაზში შემოვიდა, რიჩჩიოსთან მივიდა, დაბალის ხმით რაღაზედაც დაელაპარაკა, მერე ხელი ჩასჭიდა და შუაგულ ოთახებისაკენ წაიყვანა.

დარნლეი. ჰკუიდგან ვიშლები! ღმერთო ჩემო, გონს მომიყვანე!

ლეტინგტონ. მე იქვე საფრანგეთის ელჩის მახლობლად ვიდექი; ეს რომ ნახა ელჩმა, შეჰნიშნა: „კარგი იქნება ვიცოდეთ, რომელს ოთახში წავლენო“?.

დარნლეი. ცილის მწამებელი!

ლეტინგტონ. მე მაშინათვე ვუპასუხე, რომ აქ ეჭვი სრულიად უადგილოა-მეთქი.

დარნლეი. არა, შესაძლებელია, ლეტინგტონ, შესაძლებელი!

ლეტინგტონ. თანაც დასძინა ელჩმა: „გუშინ უნახავთ, რომ ბ-ნს რიჩჩიოს ლურჯი ხალათით აუდენცია ჰქონია და დამსწრეთა შორის დედოფალიც ბრძანებულაო“.

დარნლეი. საზარელი სიცრუვეა! დედოფალი მასთან არასოდეს არა ყოფილა!

ლეტინგტონ. მეც ეგ ვუთხარი, ინგლისის ელჩმაც, რომელიც შემთხვევით ლაპარაკზედ შემოგვეწრო, წინააღმდეგობა დაუწყო; —პირიქით, ნამდვილად ვიცი, რომ თვითონ რიჩჩიო ყოფილა დედოფალთან ხალათითაო, გაამტყუნა ელჩმა!

დარნლეი. ხა, ხა, ხა!

ლეტინგტონ. დიახ, ეხლა სიცილის მეტი აღარა დაგვრჩენია-რა.

დარნლეი. ხა, ხა! ხა! ჩემი სახელი, ჩემი სიცოცხლე! მხოლოდ სასაცილო-ღაა! ჩემი შერცხვენილი სიყვარული, მწუხარებისგან დაღარული მშობელი დედის გული, შეურაცხყოფილი სიამაყე მამისა,—ისინიც სასაცილონი ღა არიან?! ლეტინგტონ, თქვენ—მდაბალი, გაიძვერა რამა ხართ! ვიცი, გსურთ დამღუპოთ, მე ამასა ვგრძნობ... და... ძალა-კი არ შემწევს წინააღმდეგობა გაგიწიოთ... მხოლოდ მას შეეძლო ვეხსენი თქვენგან, მაგრამ იგი მღალატობს და თქვენის გაუმაძღარ პატივმოყვარეობის მსხვერპლადა მხდის!

ლეტინგტონ. გისურვებთ, მეფევ, დამშვიდებულიყოთ და მაგ სენისგან განთავისუფლებულიყოთ! (ჰსურს წავიდეს).

დარნლეი მოიცათ! ლეტინგტონ, თქვენ მართალი ხართ—ავადმყოფი ვარ: ღამ ღამობით სრულებით არ მძინავს, მარტოდ დარჩენისა მეშინიან, მეშინიან ჩემის ჰკუისა... ო, ლეტინგტონ, მე ხომ ჯერ ისევ ბავშვი ვარ: ცხრამეტის წლისას სად შემიძლიან ამ ბრძოლას გავუძლო... მე იგი გაგიჟებით მიყვარს. საქმა-

---

*) იხ. „ივერია“ № 71.

ქონებათა სამინისტროს კავკასიის უმცროს აგრონომს თავ. ივანე ანდრონიკაშვილს; წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენი—ყოფილ სახელმწიფო გლეხთა დასახლების საქმის მომწყობს მიხეილ მაჩაბელს.

ახალი ამბავი

⁂ ხვალ, 8 აპრილს, დღის 11 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ტფილისის ქალაქის სასწავლებლების მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება მოხდება.

⁂ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ გუბერნიის მთავრობათ შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ სოფლის საზოგადოებებს სახაზინო ტყეებიდგან საჭირო წნელი დაეთმოთ კალიასთან საბრძოლველად და მდინარეების ნაპირთა გასამაგრებლად წყალ-დიდობის დროს.

⁂ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს თავად-აზნაურთა თეატრში, ქ-ნ ნ. ჩხეიძის, ბ-ნთ ალექსი-მესხიშვილისა, ვ. გუნიასი და სხვათა მონაწილეობით, წარმოდგენაა დანიშნული. წარმოადგენენ დრამას „უბედური ნაბიჯს“, რომელშიაც მთავარ როლებს ასრულებენ ქ-ნი ჩხეიძე და ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი.

⁂ 5 აპრილს ქალაქის მოურავმა წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის გამგეობის მიერ მოწონებული პროექტი მთაწმინდაზედ ფუნიკულერის გაყვანისა.

⁂ გუშინ წინ, 5 აპრილს, საღამოზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა პირველი კრება აღმოსავლეთის შემსწავლელ საზოგადოების ტფილისში ახლად დაარსებულ განყოფილების წევრთა ზოგიერთის საქმეების განსახილველად. კრების დაწყებამდე საქართველოს ექსარხოსმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლავიანემ გარდაიხადა პარაკლისი; შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მ. ვოსტორგოვმა, რომელმაც აღნიშნა მნიშვნელობა ამ საზოგადოებისა აღმოსავლეთის ერების შესწავლა-გაცნობის საქმეში. კრებაზედ, წესდების თანახმად, ამორჩეულ იქმნენ 150 წევრი საზოგადოებისა; შემდეგ ამოირჩიეს საზოგადოების გამგეობის თავჯდომარედ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი ნ. ა. სულტან კრიმ გირეი, მის ამხანაგად თავ. ვ. ნ. ჟოლუთინსკი-დოლგორუკი, ამხანაგის კანდიდატად ვეიდენბაუმი; ხაზინადრად ა. იონესიანი და მის კანდიდატად დ. სარაჯიშვილი, ხოლო მდივნად მირზა-შერიფ მირზაევი. აგრეთვე დაასახელეს გამგეობის 8 წევრის თანამდებობაზედ კანდიდატებად: თავ. ვ. მიქელაძე, ე. ვეიდენბაუმი, გაკკელი, ს. ი. უმანეცი, ა. ქალანთარი, ე. თაყაიშვილი, ეფიმოვი და შეიხულ-ისლამი; გამგეობის წევრის თანამდებობაზედ კანდიდატების ასარჩევად ახლოს მომავალში იქმნება დანიშნული საზოგადო კრება. კრებამ ამსაღამოს აგრეთვე გამოსთქვა სურვილი საზოგადოებისათვის სამკითხველოს დაარსებისა და საზოგადოების სახელმძღვანელოდ ინსტრუქციის შედგენისა. ბოლოს დაადგინა: დაევალოს გამგეობას იზრუნოს წიგნთ-საცავის დაარსებისათვის და ამასთანავე შეიმუშავოს ინსტრუქცია, რომელიც შემდეგ უნდა წარუდგინოს საზოგადო კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად. სარევიზიო კომისიის არჩევანიც შემდეგ დროისათვის გადაიდო.

⁂ ტფილისის სამეურნეო ბანკს 400 მან. გადაუდვია მომავალ კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენისათვის.

⁂ კავკასიის მომავალ საიუბილეო გამოფენის კომიტეტმა უკვე გაუგზავნა გამოფენის წესები და სხვა საჭირო ცნობები სხვა-და-სხვა დაწესებულებებს, სოფლის მეურნეებს, მრეწველთ და სხვათ. წესებს გამოფენისას შემდეგ დავბეჭდავთ.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა გზათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მომავალ საიუბილეო გამოფენის ექსპონენტებს შეღავათი მიეცეთ რკინის გზით თავიანთ ნაწარმოების გადატანის დროს. ეხლა გზათა სამინისტრომ აცნობა სამეურნეო საზოგადოებას, რომ შეღავათის მსურველ გამოფენის გამგეთ ამის შესახებ შუამდგომლობა უნდა აღძრან ფინანსთა სამინისტროს წინაშე არა უგვიანეს სამის თვისა გამოფენის დაწყებამდის.

⁂ შემდეგი მორიგი კრება ქალაქის საბჭოსი ორშაბათს, 9 აპრილს, მოხდება.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებულის თანაშემწეს ბ-ნ შიმანოვსკისა და კავკასიის მეურნეობის ინსპექტორს გევესკის შეუდგენიათ ამ გასულ საუკუნეში კავკასიის მეურნეობისა და მეტყეობის განვითარების ვრცელი მიმოხილვა. ეს მიმოხილვა შეტანილ იქმნება იმ საიუბილეო კრებულში, რომელიც განიზრახა გამოსცეს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის საისტორიო განყოფილებამ საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების დღესასწაულისათვის.

⁂ როგორც ასტრახანის სომეხთა არქიეპისკოპოსი მ. სედრაქიანი ატყობინებს „მშაკს“, თავისს ეპარქიაში მოგზაურობის დროს მას ქალაქ სამარყანდში ერთი ხელთ-ნაწერი უპოვია, რომელიც შეიცავს თემურლენგის გალაშქრების ამბავს, აგრეთვე საინტერესო ცნობებს ქართველთა და სომეხთა თავადების შესახებ.

⁂ ამას წინად ნაძალადევის უბანში მდებარე ქალაქის მიწების მოსაწესრიგებლად შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უკვე გამოარკვია ნება—დაურთველად მისაკუთრებულ მიწების რაოდენობა და დააწესა კიდეც საიჯარო გარდასახადი. ქალაქის გამგეობას დაუდგენია, ქალაქის მოურავის წინადადების თანახმად, ასეთივე კომისია შესდგეს ნავთლუღში მდებარე ქალაქის მიწების მოსაწესრიგებლად.

⁂ ტფილისის ქალაქის ინჟინრად დანიშნულ იქმნა გზათა ინჟინერი ტ. ა. ენფიანჯიანცი.

⁂ ა. ს. ხახანაშვილის წერილი: „ქართული ნაწყვეტი ქილილა და დამანისა“ გერმანულად გადაუთარგმნიათ და ვენაში დაუბეჭდიათ. („ცნ. ფურ.“)

⁂ როგორც გაზ. „კავკაზს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, უმაღლეს მთავრობას გამოუცხადებია, რომ სოხუმის ოლქის სახაზინო ტყეები კერძო კაცებზედ გასაცემად აღკრძალულია.

⁂ განჯიდგან გვატყობინებენ, რომ 5 აპრილს, საღამოს 5 საათსა და 45 წუთს კონდუქტორი ანტონ ჯავახიძე, როდესაც ვაგონებს ერთმანეთზედ აბამდა, ბუფერის თეფშებს შუა მოხვდა და დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ იქ გარდაიცვალა.

⁂ როგორც ავჭალიდგან გვატყობინებენ, ოთხს აპრილს, დილის 6 საათზე მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენიდგან გაქცეულა ორი მცირე წლოვანი დამნაშავე. ერთი მათგანი ბაქოელი სომეხი ერემ კევორკოვი, პატარა ტანის, შავ-თმიანი ნაყვავილარია; მეორე რუსი სამოილ კლიმენკო, საშუალო ტანისა, გამხდარი. ორივენი ლურჯი ბლუზებით არიან, თავზე ახურავთ თუშური ნაბდის ქუდები.

⁂ როგორც ნავთლუღიდგან გვატყობინებენ, 5 აპრილს, მატარებლის № 163-ის ერთის ვაგონიდგან მოუპარავთ 3 ტომარა ხორბალი.

წერილი ოსმალეთიდგან

კარგა ხანია „ივერიის“ მკითხველებს ოსმალეთის შესახებ აღარა ამოუკითხავთ-რა. იქნება კიდეც ფიქრობდეს ზოგიერთი, რომ აქაურობა დაწყნარებულია და ოსმალეთის შინაური საქმეები წარმატების გზას ადგია. კონსტანტინეპოლის ნავთსადგური დასრულდა, სამკურნალო აკადემია და სხვა სამმართველო საჭირო შენობები სულ ახალ-ახალ გეგმით და მოწყობილობით აშენებენ ფადიშახის სამფლობელოს. სახელმწიფო საჯარო აკადემიები ყოველ წლობით დიდს წარმატებაში შედის. ამ ათის წლის წინად თუ აქა იქ ძლივს მოჰკრავდით ყურს ფრანგულ-ნემეცურის მოლაპარაკე ჯარის-კაცს, ეხლა თითქმის ყველა ჯარის-კაცი შეჩვეულად ლაპარაკობს რომელიმე ევროპიულს ენაზედ. ახლა კიდევ სავალდებულოდ გახადეს საჯარო აკადემიაში მოსწავლეთათვის, რომ ნახევარმა უთუოდ იცოდეს რუსული ენა და ნახევარმა გერმანული, ყველამ ფრანგული და ვისაც სურს, შეუძლიან ისწავლოს სხვა ენებიც. აქამდის ოსმალეთს შინაურ საბაჟო გადასახადი ჰქონდა ასში 4°/o ყველა ზღვით გადაზიდულ-გადმოზიდულ საქონლებზედ—ხმელეთით-კი არა იყო-რა შინაურს საქონელზედ და არც თუ ეხლაა. ზღვით წაღებულ და მოტანილ საქონელზედ ამ წლის 1 მარტიდგან ბაჟი [illegible] ცირეს. აგრეთვე ფოსტის მარკებიც 8 კაპიკის მაგიერ ეხლა 4 კაპიკია (20 ფარა) ყველგან, სადაც-კი ოსმალეთს ნავთ სადგურები აქვს. სასამართლო სამსაჯულოები თვალსაჩინოდ გაუმჯობესდნენ; ყოველივე საქმეები საჯაროდ, ევროპიელთა საკონსულო თარჯიმნების თანადასწრებით რიგდება. როგორც კონსტანტინოპოლი, ისე სხვა ქალაქები ოსმალეთისა დღეს დიდს წარმატებაშია: მაგ. სალონიკი (იგივე თესალონიკე) ყოველ წლობით სუფთავდება, ქუჩები განიერდება, ეხლა მშვენიერს ნავთსადგურს აგებენ და სხვა.

დიახ, ოსმალეთში დღეს ყველაფერს წინსვლა ეტყობა, მაგრამ მაკედონიის დაწყნარებასა და მის მრავალ ჯურა და რჯულის ხალხის დამშვიდებას არა ეშველა-რა. დღემდის ქვეყანას ასე ეგონა, ამათი არეულობის მიზეზი ოსმალეთის ურიგო მმართველობა არისო და მათი ბარბაროსობაო, ეხლა-კი, ამას წინად მომხდარ ამბების გამოაშკარავებამ, თითქმის ყველანი დაარწმუნა, რომ ოსმალეთი აქ არაფერს შუაშია. მაკედონია შესდგება ოთხ გვარ ხალხისაგან: ბოლგარებისა, ბერძნებისა, თათრებისა და ვლახელებისაგან. ამ ოთხს ხალხს შორის არასოდეს კეთილი განწყობილება არა ყოფილა, მხოლოდ ბოლგარიის განთავისუფლების შემდეგ და მეტადრე კი მას აქეთ, რაც ბოლგარებმა მაკედონიაში თავისი დამოუკიდებელი ეკლესია და თავიანთი მღვდლები დაიარსეს, შემდეგ სრულიად აირია. აქ ბოლგარებმა ხელში ჩაიგდეს უმთავრესი ადგილები და ფილიპოპოლის სამეფოსთან შეერთების შემდეგ თავიანთი თავი მაკედონიის სრულ მკვიდრად გამოაცხადეს. აგერ რამდენიმე წელიწადია ბეჭდავენ ჩუმს პროკლამაციებს, კალენდრებს, წიგნებს და სხვა და საყოველთაოდ აცხადებენ: მაკედონია, ბოლგარია და ალექსანდრე მაკედონელი ბოლგარი იყოო, და ვინც ამ ჭეშმარიტებას უარს ჰყოფს, სიკვდილი იმას და სხვანიო!.. ამ რიგადვე ჰქადაგობს ელლინთა ჟურნალ-გაზეთობა თავიანთდა სასარგებლოდ. აი, ამ გარემოებამ დაჰბადა საშინელი სიძულვილი ბოლგართა და ბერძენთ შორის და ამათ მხრივ კიდევ ოსმალთა და ვლახელთადმი. ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა მაკედონიის მკვიდრთა შორის,

---

რისია თუნდაც ერთი ალერსიანი სიტყვა, საკმარია თუნდაც გამოტყდეს, რომ დამნაშავეა,—პატიება მთხოვოს და მე, ლეტინგტონ, ყოველივეს ვაპატიებ!

ლეტინგტონ. მილორდ, ამისგან ღმერთმა და თქვენმა პატიოსნებამ დაგიფაროთ!

დარნლეი. რაა ჩემთვის პატიოსნება, თუ მას არ ვეყვარები! ოხ, რომ იგი უკან დამიბრუნდებოდეს,—მთელს ევროპას ჩემის ხელით შემოვატარებდი, ვაცნობებდი უამაყეს მისთა სასახლეთ, თუ რამდენად შერცხვენილი ვარ. დეე, დამტანჯოს, დამამციროს, ოღონდ იმ ნეტარებას ნუ მომისპობს, რომ იგი მიყვარდეს, მთელს ქვეყანაზედ უბედნიერესი ქმარი ვიყო! წინად, ლეტინგტონ, კიდეც ვიყავი! ჯვრის წერის შემდგომ პირველს ორ თვეს მას მხოლოდ ჩემთან ყოფნა ენატრებოდა. დედაკაცი, რომელიც მთელს ევროპაში ულამაზეს, უჭკვიანეს და მომხიბლველად ითვლებოდა, ჩემი იყო; ყოვლად მიუღწეველი ოცნება, რომელიც-კი ყველა ახალგაზრდას ასაზრდოებდა, ჩემი საკუთრება, ჩემი სიცოცხლე იყო; მაშინ მე თვრამეტის წლისა ვიყავი! მაგრამ ყველა ამას ბოლო ჩქარა მოეღო. (სტირის).

ლეტინგტონ. ვაჟკაცის საქმე შურის-ძიებაა და არა ტირილი!

დარნლეი. ვიცი—ეს ბავშვობაა; მაგრამ ეხლა ღამის ბნელი, არარაობა დღედ გამხდომია და დღის ვარამი ამ ღამეში იფარავს თავსა!.. თუ არ ცრემლები, გეფიცები შევიშლებოდი! (სტირის).

ლეტინგტონ. მაშ, როგორცა ვხედავ, ჩვენს განზრახვას უნდა გამოვემშვიდობოთ!

დარნლეი. რომელს, ლეტინგტონ!

ლეტინგტონ. იქნება თქვენ არც-კი გსურთ, რომ იგი ჩვენგანმა ვინმემ ხმალში გამოიწვიოს?

დარნლეი. ხმალში? დავით რიჩიოს წილადა ჰხვდეს იგივ ფოლადი, იგივ ჰაერი, იგივ მიწა? არა, ლეტინგტონ, მიპარვით უნდა იქმნას მოკლული, თუნდაც ოცჯერ ჰკრან ერთის მაგივრად და როს მოკვდება, მაშინაც-კი არ მიეცეს მას მოსვენება! ტანთ უნდა გავხადოთ და საქვეყნოდ ჩამოვკიდოთ სამარცხვინო ბოძზედ! ის, ვინც ქურდულად წარმტაცა ბედნიერება, მაინც მწერივით უნდა გაისრისოს! ლეტინგტონ, იმაზედ საზარელს დანაშაულს ვერ დავისახელებ, რაიცა სხვისი ცოლის გადაბირება, მოტყუებაა!

ლეტინგტონ. განა თქვენ-კი არსად ჩაგიდენიათ ამგვარი რამ, ჰენრიხ?

დარნლეი. მე მაშინ არ ვიცოდი, ეს რას ჰნიშნავდა!

ლეტინგტონ. საკმაოდ კარგად-კი ხართ დარწმუნებული, რომ დედოფალი ღალატობთ? თითქოს მართლა გაქვთ კიდეც მიზეზები, მაგრამ მათზედ დამყარება ჯერ კიდევ არ შეიძლება; ეს მხოლოდ ეჭვია... ამასთანაც თითონვე რომ დაგარწმუნოთ, რომ ის დამნაშავე არ არის?

დარნლეი. როდესაც ამაზედ ველაპარაკები, ის სულ იცინის, მარწმუნებს, რომ მართალი არის!

ლეტინგტონ. მაშ, როგორცა სჩანს, პირდაპირ გეწინააღმდეგებათ!

დარნლეი. დიახ, დიახ, დღეს პირდაპირ პირში მომახალა, რიჩჩიოსთან მივდივარო!

ლეტინგტონ. იქნება მართლა იმიტომაც იქცევა ასრე, რომ ბრალი არაფერში მიუძღვის?

დარნლეი. მაშ თუ აგრეა, რატომ არ დამიმტკიცებს? ხომ ჰხედავს, როგორ ვიტანჯები.

ლეტინგტონ. მას არ უყვარხართ.

დარნლეი. დიახ!

ლეტინგტონ. არც ეშინიან.

დარნლეი. საქმეც ეგ არის!

ლეტინგტონ. მისს მოუსვენარს, მშფოთვარს ბუნებას მხოლოდ ის უყვარს, ვისიც ეშინიან!

დარნლეი. მართალია, აგრეა!

ლეტინგტონ. მაშ რომ როგორმე მოახერხებდეთ და დააშინებდეთ...

დარნლეი. მეც ეგა მსურს, ლეტინგტონ!

ლეტინგტონი. ამისათვის ვაჟკაცობაა საჭირო!

დარნლეი. ვეცდები! მთელს ჩემს მომავალს ამას შევუწონ!

ლეტინგტონი. თუნდაც შეგფიცოს, რომ თქვენი ეჭვი სიცრუეე არის?..

დარნლეი. მართლაც რომ ტყუილი იყოს, ლეტინგტონ?

ლეტინგტონ. მაშინ შეუძლიან თავი იმართლოს! მას ხომ თქვენ არ უყვარხართ, არც ეშინიან!

დარნლეი. მართალი ხარ, მართალი!

ლეტინგტონ. აი, ჰხედავთ, როგორ ჩქარა ემორჩილებით!

დარნლეი. დარწმუნებული იყავ, მასთან ხასიათს გამოვიჩენ. მაგრამ, ლეტინგტონ... გაჭირვების დროს რომ მომმართოს, როგორც თავის კანონიერს მფარველს?

ლეტინგტონ. ჰკითხეთ მაშინ, რატომ წინად არ მოგმართავდით ხოლმე.

დარნლეი. მართალი ხარ... ეხლა ის ახლოც არ მეკარება, [illegible] ეძებს.

მაგრამ მეტი ძალა შემოიკრიბეს ბოლგარებმა, რაკი თავისუფალი მოძმე ბოლგარელნი ახლოს ჰყავდათ. უკანასკნელად გამოაშკარავდა, რომ ბოლგარების აჯანყებულებს, ანუ კომიტეტს, როგორც აქ ეძახიან, წლის ერთ 250 კაცზედ მეტი მოუკლავთ მაკედონიაში ბერძენი, ვლახი თუ ოსმალო. დღემდის ყველა ამ მკვლელობასა და არევ დარევას, როგორც ყოველთვის, ოსმალეთის ბარბაროსობასა და მათს ურიგო მმართველობას აბრალებდნენ, მაგრამ აი ამ რამდენისამე დღის წინედ გამოჩნდა ნამდვილი მიზეზები. ოსმალეთის მთავრობამ ამას წინედ კომიტეტის სამი მოთავე დაიჭირა მაკედონიაში: მილან მიხაილოვი, კოსტანტინე კარლოვალი და კიზო ფლორინალი და უპოვნა მათ წერილები და კომიტეტის გეგმა პროგრამა, რომელიც ამბობს: „კომიტეტის მიზანია მოჰკლას მაკედონიაში მცხოვრები ყველა, ვინც-კი ერთხელ და სამუდამოდ საუთოდ არ აღიარებს თავისს თავს ბოლგარად; კომიტეტის მიზანია იმოქმედოს ყოვლის ღონისძიებით ბერძნებისა და თათრების წინააღმდეგ, როგორც მავნე ელემენტისა მაკედონიაში და სხვა“. ასეთის საბუთების პოვნის შემდეგ დაიჭირეს კიდევ სხვა მრავალი მოქმედთაგანი და მათი დირექტორი დოქტორი თათარჩოვი და ხაჯი ნიკოლოვი. ამ უკანასკნელების მოთავეობა ცხად ჰყვეს ბერძენთა და ბოლგართა გაზეთების მეოხებით. გამოირკვა ამ რიგად, რომ ყველა იმ მკვლელობის მიზეზი, რომელიც ამ ხუთიოდე წელში მომხდარა მაკედონიაში, ეს კომიტეტი ყოფილა. ამ გზობად-კი კომიტეტის გეგმა მოქმედებისა შემდეგი ყოფილა: მზად ყოფილან როგორც იარაღით ისე ხალხით, რომ აჯანყება მოეხდინათ ადრიანოპოლში, უსკუბში და თესალონიკში; აღმოუჩნდათ თოფები, დინამიტები და სხვა იარაღი. ამ დღეებში გაირჩა რამდენისამე დამნაშავის საქმე: დოქტორს თათარჩოვს გარდაუწყვიტეს ხუთის წლით დაპატიმრება, დღემდის მის შესახებ საბუთების მიხედვით, და თუ რამ კიდევ აღმოჩნდება ამას იქით, ამისათვის ხელ-ახლა იქნება განსაჯული. მღვდელს პაპა მანოლის სამის წლით დაპატიმრება და სამს პირველ მოხსენებულებს: მიხაილოვს კარლოვალის და ფლორინალს ჩამოხრჩობა, დანარჩენს რვას, რომლებიც დაჭერილ იქმნენ, მცირედი სასჯელი და სხვები კი განათავისუფლეს.

ეხლა დარჩა კიდევ გასასამართლებელი მეორე დასი, რომლის მოთავედაც ითვლება ხაჯი ნიკოლოვი. ამ უკანასკნელს თავის მაღაზიის სარდაფში ორი ზანდუკი დინამიტები უპოვნეს და მიწერ-მოწერა. დაიჭირეს და დაამწყვდიეს თუ არა ეს უკანასკნელი, მან ორივე ხელების ძარღვები გადიჭრა, რომ ამითი თავი მოეკლა, მაგრამ დროზედ მიუსწრეს და გადაარჩინეს. ჯერ ამათი საქმისა მხოლოდ გამოძიება სწარმოებს, მხოლოდ ხაჯი ნიკოლოვი გამომტყდარა თავისს დანაშაულობაში. ესენი ყველანი, გარდა თათარჩოვისა, რომელსაც როგორც ხმა დადის, ფილიპოპოლის აჯანყებაშიაც მონაწილეობა მიუღია, არიან შესანიშნავ სოფელ კილკიშიდგან. ეს სოფელი მდებარეობს თესალონიკის მახლობლად და ცნობილია ძველთაგანვე თავისის დაუდეგარის და შესანიშნავის ცხოვრებით. ამათ ჯერ კიდევ ბოლგარიის განთავისუფლებამდის მოახდინეს რევოლიუცია, გამოეყვნენ ბერძენთა ეკკლესიას და მიიღეს „უნია“, რომელთაც რომის პაპმა ეპისკოპოსი ბოლგარი დაუნიშნა, მხოლოდ ბოლგარიამ რომ თავისუფლება მოიხვეჭა, მიატოვეს „უნია“ და უმეტესი ნაწილი შეუერთდა ბოლგარიის ეკკლესიას და პირველმა ამათ დაიწყეს თავიანთს ეპარქიაში ბოლგარელ მღვდლების მოწვევა. ეხლა-კი, ამ არეულობის შემდეგ, არზა მიართვეს აქაურს ბერძენთა ეპისკოპოსს: „გვინდა ისევ ბერძენთა ეკკლესიას შევუერთდეთ, უკეთუ შეწუხებას მოგვხსნითო“ და ამ წერტილზედ დარჩნენ. ამ ნაირად მაკედონიის დღევანდელი საქმე და მათი აურ-ზაურის მიზეზი არიან თავდაპირველად კილკიშელები, შემდეგ გევგელელები, ესეც შესანიშნავი სოფელია სალონიკის მახლობლად, და თესალონიკელი ბოლგარელნი. ამ რიგად თუმცა ყოველივე გამოირკვა და ბევრიც დაიჭირეს, ბევრი იარაღი და სხვა საბუთებიც იპოვნეს, მაინც საქმე გათავებულად არ ჩაითვლება, რადგანაც ჰგონიათ, საქმის თავი და დასაწყისი ბოლგარიაში იყოს და იქაც რომელსამე დიდს სახელმწიფოს ხელი აქვნდესო. ამათ უმეტეს ამტკიცებენ ამას, რომ ამოდენა ხალხის დატუსაღების შემდეგ, ბოლგარ ოსმალთა საზღვარზედ, როგორც ხმა გაისმა, შეტაკებაც მომხდარა და ორსავე მხარეზედ დიდი ზარალი მოჰყოლიათ. ასეთმა მდგომარეობამ საქმისამ ბირჟა თესალონიკში ძალიან დასწია და რამდენსამე გაჭირვებამ თითქმის დასცალა: გაკოტრდნენ, ყოველსავე სავაჭრო-სააღებ მიცემო საქმეებს ყოველგან შიშით უყურებენ და ევროპამაც მაკედონიაში კრედიტი თითქმის სრულიად მოსპო.

იასე რაჭველი

◆

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. Schles. Ztg.-ს სწერენ ბრიუსელიდგან ტრანსვაალში მინისტრათ ნამყოფის გან-ალფენის ნათქვამიდგან, რომ ომის საქმეში სამხრეთ აფრიკაში ისევ ბურები იმარჯვებენო. ამ ბოლოს დროს, როგორც ვიცით, ბურების ერთად ერთს აზრს შეადგენდა ის, რომ ინგლისელები მუდამ შიშს ქვეშა ჰყოლოდათ და ნება არ მიეცათ, ერთად დიდს ჯარს აეტეხნა ბრძოლა ბურებისათვის. შვიდ ექვსის კვირის წინად გამოვიდა ხმა ბურების ბანაკიდგან, რომ განზრახულია აპრილის ნახევრამდე სამხედრო მოქმედებამ მოიცვას ნატალი, ორთავე რესპუბლიკა, კაპის ახალშენის ერთი ნახევარი, ვიდრე ზულულანდემდე და ინგლისელები იძულებულნი გახადოთ ჯარი ამ დიდს მანძილზედ გაჰფანტოსო. და მართლაც ასე მოხდა! ლორდმა კიტჩენერმა ვეღარ შესძლო, თუნდაც ერთს ადგილას სადმე ძლიერის ჯარით მტერს დაჰსხმოდა და დაემარცხებინა. ზულულანდიდგან მოკიდებული სამხრეთ აფრიკის გერმანიის სამფლობელომდე ამ ჟამად ინგლისელები მხოლოდ ბურების წვრილს რაზმებს იგერიებენ. სხვა ვეღარა გაუწყვიათ რა. ბურები-კი დიდს ზარალს აძლევენ, აწუხებენ, არ ასვენებენ. ამიტომაც პლუმერის ჩრდილო ტრანსვაალისაკენ წასვლა ბურებისათვის საშიში არაფერს წარმოადგენს. პლუმერმა თუნდაც პიტერსბურგი დაიჭიროს, — იწერებოდნენ ბურების ბანაკიდგანა, — არაფერია, რადგანაც მოასწრებენ, ინგლისელების მისვლამდე, იარაღი, სურსათი და სამხედრო სამზადისი სრულებით გაიტანონ; ინგლისელებს-კი ახალი საქმე გაუჩნდებათ: მთელის 500 კილომეტრის მანძილზედ უნდა გაამაგრონ ეს ადგილი და ჯარები ჩაასვენონ. თუ რომ პლუმერი პიტერსბურგში დარჩება, მაშინ პრეტორია-პოლსტრომ-პიტერსბურგის რკინის გზის დაცვას სულ ცოტა 30,000 კაცი დასჭირდება, რომ ლიანდაგის პირად მოწანწალე ბურების პატარ პატარა რაზმებმა ინგლისელების სურსათი და სამზადისი არ მიითვისონ ხოლმე, რასაც ამ ბოლოს დროს ხშირად სჩადიან, და ლიანდაგი არ წაუხდინონ ამისათვის, ვგონებ, დადგა დრო, — ამბობს განალფენი, — როდესაც ინგლისელებმა უნებურად ომი ერთს ადგილას გაყინულად უნდა გამოაცხადონ... ამ უხილავის მტრის წინააღმდეგ, რომელიც 15,000 ოთხ-კუთხ გეოგრაფიულ მილის მანძილზე აქა-იქ პატარ პატარა რაზმებად მიბნეული, კიტჩენერი, ეჭვი არ არის, ვერას გახდება, თუნდაც 100,000 ახალი ჯარის-კაცი კიდევ მიაშველონ.

ბურების ომის ერთი მონაწილე აუწყებს გაზეთს „Mün. N. Nachr.“-ს, ვითომ ბოტასათვის ინგლისელებს 10,000 გირვანქა სტერლინგი შეეძლიოთ ყოველ-წლიურ რენტად, ოღონდ დაეთმოს და ბურგერებს ომზედ ხელი აეღებინეთ. ასეთი წინადადება წინად რობერტსს მიუცია და ახლა კიტჩენერსაც გაუმეორებიაო.

„Morning Post“-ს ატყობინებენ ბრიუსელიდგან, რომ, კრიუგერის აზრით, ინგლისელების ჯარს დიდი გაჭირვება სამხრეთ აფრიკაში ახლა თურმე მოელით. ბურების მომეტებული ნაწილი ტრანსვაალის ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ, ცოუტს პანსბერგისაკენ, წასულა, სადაც მუდმივი ციება, დიზენტერია და სხვადი თურმე და ჰაერიც შეუჩვეველთათვის ყოვლად აუტანელი. გარდა ამისა, აღნიშნულს ოლქში ერთობ ბევრია ეგრედ წოდებული ბუზი „ცე-ცე“, რომლის ნაკბენსაც ადამიანი თურმე არ გადურჩება. „ცე ცეს“ ნაკბენს მხოლოდ ვირი და თხა უძლებსო. მოხერხებულ გზების უქონლობაც ძლიერ დააბრკოლებს ინგლისელებსა და სურსათს ვერ მიიტანენო. კრიუგერი დარწმუნებულია, რომ ინგლისის ჯარი ცოუტპანსბერგში ვერ გადავა და ბურებს ბრძოლას ვერ დაუწყებს.

მაკედონია. მაკედონელთა კომიტეტის მეთაურთა შეპყრობისათვის სულთანმა ბოლგარიის მთავრობას მადლობა გამოუცხადა. სარევოლიუციო მოძრაობის წინააღმდეგ ბოლგარიის მთავრობა ყოველსავე ღონისძიებას ხმარობს. შინაგან საქმეთა მინისტრმა საიდუმლო განკარგულება მოახდინა, რომ სამთავროს ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებიდგან პოლიციამ გამოაძევოს ყველა ის მაკედონელნი, რომლებიც იქ უსაქმურად იმყოფებიან. ოპოზიცია საბრძოლად ემზადება.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

საბერძნეთში ახალი კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც ძაღლების პატრონთ გადასახადი გაეწერათ. თითო ძაღლში პატრონმა წელიწადში ხუთი მანეთი უნდა გადაიხადოს, ხოლო თუ განცხადება არ შეიტანა და არ შეატყობინა მოხელეებს, რომ ძაღლი ჰყავს, ორჯელ მეტი, ე. ი. ერთი თუმანი. ამას წინად საბერძნეთის მეფეს უბრძანებია სასახლის ერთ მოხელისათვის, გადასახადი შეეტანა სადაც წესია; მაგრამ მოხელეს დაჰვიწყებოდა და ვადა გადასულიყო. ამიტომ ერთის კვირის შემდეგ მეფეს ოთხს ძაღლში 20 მანეთის გარდა ამდენივე ჯარიმა გადაახდევინეს. მეფემ ხმა ამოუღებლივ გარდაიხადა ჯარიმა.

* *

„ლინჩის სამართალს“ ჯერ კიდევ არ ელება ბოლო ამერიკაში, თუმცა მთავრობაცა და მოწინავე კაცნიც ძალიანა სცდილობენ ამისათვის. ამას წინად ასეთს „სამართლით“ წუთი-სოფელს ორი კაცი გამოასალმეს იქ. პირველი ტეხასელი ზანგი იყო, რომელსაც ერთის ფერმერის ცოლის მოკვლა ჰბრალდებოდა. გამხეცებულმა ბრბომ ნავთი გადაასხა სახლს და ცეცხლი წაუკიდა. ზანგი ამ დროს სახლში იყო და ცოცხლად გადაიწვა. მეორე ასეთი „სამართალი“ ტენნესში მოხდა. იქაც ზანგი მოჰკლეს, რომელსაც თეთრ-კანიან ქალის მოკვლა ჰბრალდებოდა. ბრბომ ჯერ აწამა საწყალი, შემდეგ ჩამოახრჩო. სხვა ზანგებმა, დარწმუნებულებმა, რომ დასჯილი უდანაშაულო იყო, გადასწყვიტეს შურის-ძიება; ამიტომ მეორე თუ მესამე დღეს ქალაქის ერთ ნაწილს ცეცხლი წაუკიდეს.

* *

ამას წინად სინგაპურის მახლობლად ერთი გემი დაღუპულა. გემი ახალ შოტლანდიიდგან გამოსულა და ფილიპინების კუნძულის მახლობლად წყლიდგან ამოწვდილ კლდეს დასჯახებია. გემი მაშინვე ჩაუძირავს. გადარჩენილნი, რიცხვით 17 კაცი, ხელად გამართულ ორის ტივით გასდგომიან გზას. პირველი ტივი, რომელზედაც ხუთი კაცი ყოფილა, იმავე დღეს შთაუნთქავს ტალღებს. მეორეზედ თორმეტი კაცი დარჩენილა; არა ჰქონიათ მათ არც წყალი, არც არავითარი სურსათი. მთელი ოცდა ხუთი დღე ეს საცოდავები იმით იკვებებოდნენ, რომ ზღვაზედ ბალახებსა და პატარა ლოკოკინებს იჭერდნენ და იმეებსა სჭამ-

---

ლეტინგტონი. თუ რომ ასეთს გაჭირვებაში ზურგს შეაქცევთ — მაშინ უთუოდ შეგიძულებთ და ყოველგვარს საზღვარსაც გადაჰლახავს.

დარნლეი. მართალია!

ლეტინგტონ. უდანაშაულოა, თუ დამნაშავე, მაინც უნდა იცოდეს, რომ მასზედ უფროსი სხვაა!..

დარნლეი. უამისოდ სიცოცხლე ჯოჯოხეთის ტანჯვად გარდამექცევა, შეურაცხება და ცრემლები მოსვენებას აღარ მომცემენ, უნდა ნელ-ნელა და საზარელის ტანჯვით დავლიო სული იმის ცეცხლ-მფრქვეველ თვალ-წინა!

ლეტინგტონი. საჭიროდ მიმაჩნია ვაცნობო თქვენს უდიდებულესობას, რომ ამ ბოლოს დროს რიჩჩიოსა და დედოფალს შორის უფრო მჭიდრო კავშირი ჩამოვარდა, ვიდრე უწინ.

დარნლეი. საიდგან იცი?

ლეტინგტონი. საჩუქრებით აავსეს იგი: მარტო ერთი მისი ტანისამოსი ათას გირვანქა სტერლინგადა ღირს!

დარნლეი. საძაგლობაა, საზარლობაა!

ლეტინგტონი. რიჩჩიოს ძვირფას ქვების კოლექციას დედოფალმა რამოდენიმე ძვირფასი სამეფო ნივთი თურმე შესძინა.

დარნლეი. და ამის შემდეგ კიდევ ეჭვი? ოჰ, ლეტინგტონ, რომ იცოდე, მურრეი უკან გამოვიწვიე. მთლად მისი მოწინააღმდეგე, განდევნილი დასიც, ჩემსავე მტრებს შევუერთდი; დიახ, მზადა ვარ თუნდაც თვითონ სატანას შევუერთდე, ოღონდ მეტის მოთმენა-კი, ამ ტანჯვის ატანა აღარ შემიძლიან!

ლეტინგტონი. როგორ, მურრეი უკანა ბრუნდება?.. მაშ, აჩქარებაა საჭირო...

დარნლეი. ხვალ უთუოდ მოდი ჩემთან: საჭიროა პირობა შევკრათ; ყველა ფეხზედ დააყენე! მაგრამ ეჩქარე! თორემ თუ მღელვარე სისხლმა გზა არ იპოვნა, იცოდე ბრაზი, შურის-ძიების წყურვილი დამარჩობს!

ლეტინგტონი. ჩუ, თქვენო უდიდებულესობავ, — აქეთ მოდიან.

დარნლეი. სული მეხუთება, ჰაერი მინდა, იალალი! ლეტინგტონ, გაჰგზავნე ვინმე, უბრძანე, კაცები მომყვნენ! ცხენები!.. ტყისაკენ!..

ლეტინგტონი. ამ ბნელს ღამეში?

დარნლეი. ჩემს ტანჯულს სახეს სწორედ რომ ეგ მოუხდება! (გადის. ლეტინგტონ უკან მისდევს. კარებში მსახურებს შეეხეჩება)

ლეტინგტონი. (მსახურებს). მეფის მსახურთ უთხარით, რომ მისი უდიდებულესობა ცხენით გავლას აპირებს. ჩქარა! (მსახური გადის).

გამოსვლა V.

ლეტინგტონი, მორტონი.

ლეტინგტონ. საბრალო დარნლეი! (კარებში მორტონს დაინახავს). არავინ არის!

მორტონ. (შესდგება). მაგრამ შეიძლება შემოვიდნენ!

ლეტინგტონ. თქვენ, ბატონო, დედოფლის ახალი სურათი ჰნახევით? (სურათის წინ შესდგება, მორტონიც მივა და გვერდში ამოუდგება). ძალიანა ჰგავს!

მორტონი. მე რომ მკითხო, სახის გამომეტყველება მეტის მეტად ამაყი აქვს.

ლეტინგტონ ეგ არაფერი, გასწორება ადვილია

მორტონ. როგორ? სცადეთ?

ლეტინგტონ. დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება.

მორტონ. მაშ ყველანი თანახმანი არიან?

ლეტინგტონ. ყველანი.

მორტონ. დრო?

ლეტინგტონ. (ჩუმად) ეხლავ! დაგვიანება არ შეიძლება. ისპანიის სუბსიდია მიღებულია, განდევნილთა ქონებაც მალე ხელში ჩაუვარდება. ერთი კვირა არ გავა და პროტესტანტებსა და ინგლისს საომრად გამოიწვევს... მთელი ევროპა მისი მომხრეა!

მორტონ. (ჩუმად). მაშ — ხვალ.

ლეტინგტონ. (ჩუმადვე). ხვალ, ნოქსის სახლში, ნაშუადღევის ოთხ საათზედ.

მორტონ. (ისევე). მაგრამ კვალისთვის მიუგნიათ. მეფეს დაუყბედნია. ლორდს სტუარტს ყური მოუკრავს თურმე, როგორ იმუქრებოდა.

ლეტინგტონ. მაშ თუ აგრეა, კვალი უნდა ავუბნიოთ.

მორტონ. თქვენ, ვგონებ, მურრეის ბეჭედზედ ლაპარაკობდით, რომ ამით იტალიელისათვის პირი დაგვეხშო; აი ბეჭედიც (გადასცემს ლეტინგტონს).

ლეტინგტონ. კარგი! აქ მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ!

მორტონ. (ხმა-მაღლა). მართლა რომ საუცხოვო სურათია, ცოტა ეს მბრძანებლობითი გამომეტყველება რომ როგორმე დავუმშვიდოთ.

ლეტინგტონ. (ხმა-მაღლა) და ეს იტალიური საყელოც რომ ჩამოვხსნათ! (მორტონ სცენის ბოლოში დაიმალება). აჰა, აი, რიჩჩიოც მოდის! სტიუარტს ელაპარაკება! (ესაც გადის).

(შემდეგი იქნება)

დნენ. მე-26 დღეს ერთმა ზღვაოსანმა ფრანგმა ცული დაარტყა მეორეს, მოჰკლა და იმის სისხლი გამოსწუწნა. ამ ფრანგს უნდოდა მოკლულის ტვინის შეჭმაც, მაგრამ ამხანაგებმა აღარ დაანებეს და გვამი ზღვაში გადააგდეს. მეორე დღეს ამავე ზღვაოსანმა განიზრახა დაღუპულ გემის უფროსის კროკერის მოკვლა. მაშინ ამხანაგებმა წაართვეს ცული და თვითონ ის მოჰკლეს. ვიდრე დღე იყო, საცოდავებმა ვერ გაჰბედეს გვამთან მისვლა, მაგრამ როცა დაბნელდა, სათითაოდ მიცოცდნენ მოკლულთან და ჭამა დაუწყეს. ორის დღის შემდეგ შიმშილისაგან მოკვდა გემის უფროსი კროკერი, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია ამხანაგთა ნადიმში. ზღვაოსნებმა იმისი გვამიც შესჭამეს. მთელი 42 დღე იკვებებოდნენ ასე კაცის ხორცით ცოცხლად დარჩენილნი. ტივზედ ბოლოს ორი კაცი-ღა დარჩა. ათი კაცი ზედი-ზედ შეჭამეს. გადარჩენილნი კუბელებმა ჰნახეს და ნავით სინგაპურში წაიყვანეს.

* *

ერთი გაზეთი სწერს, რა განსხვავებაა პარიჟსა და ლონდონს შორის. პარიჟში მეეტლეები ქუჩის მარჯვენა მხარეს მიაქანებენ ეტლებს, ლონდონში—მარცხენა მხარეს. პარიჟში მეეტლე წინა ზის, ლონდონში-კი უკან. პარიჟში უმეტესს შემთხვევაში ვიწრო ქუჩებია და მაღალი სახლები, ლონდონში წინაამდეგ—განიერი ქუჩები და მაღალი სახლები. პარიჟი მხიარულია, ლონდონი მოწყენილი. ლონდონში ძალიან ცოტა ჯარის-კაცებია, პარიჟში—ძალიან ბევრი. პარიჟში—ჯარის-კაცს ლურჯი მუნდირი და წითელი შარვალი აცვია, ლონდონში—წითელი მუნდირი და ლურჯი შარვალი. პარიჟში მღვდლები სხვებს აქორწინებენ, ლონდონში კი თვითაც ქორწინდებიან. პარიჟში გათხოვილ ქალებს დიდი თავისუფლება აქვთ, ლონდონში-კი ქალები გათხოვების შემდეგ თავისუფლებასა ჰკარგავენ. პარიჟში თვით-მკვლელობაა გავრცელებული, ლონდონში სხვათა მკვლელობა. პარიჟი მუშაობს, ლონდონი ვაჭრობს. პარიჟში ქუჩის ბრბო ფეხებით ჩხუბობს, ლონდონში კიდევ ხელებით.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აპრილი

პეტერბურგი. 5 აპრილს პეტერბურგიდგან ცარსკოე სელოში საცხოვრებლად წაბრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ.

4 აპრილს საზღვარ გარეთ წავიდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან: „საზამთრო სასახლის საუკეთესო ნაწილი წარსულ ღამეს ცეცხლმა გაანადგურა; ამასთან დაიღუპა გენერალი შვარცგოფი; მიზეზი ჯერ ვერ გამოირკვა. ფრანგმა მეციხოვნეებმა და იაპონელებმა დიდი დახმარება გასწიეს. გენერალმა გაილმა, პოდპოლკოვნიკმა ბეკკერმა, მაიორმა ლაუენშტეინმა, კაპიტანმა ვილბერგმა, პორუჩიკმა კრაუნმა და მე მთელი ჩვენი ქონება დავკარგეთ".

ტიანძინი. მართლდება ის ხმა, რომ ჩინელებმა დააქციეს რკინის გზის ნაწილი პაოტინფუსაკენაო. როგორც ისმის, მცირე ბრძოლა მომხდარა; ტიანძინიდგან მისაშველებელი ჯარი იქმნა გაგზავნილი. სარწმუნო ჩინურ წყაროებიდგანა სჩანს, რომ გენერალ მას გადაუწყვეტია განახლოს სამტრო მოქმედებანი.

იოკაგამა. სარწმუნო წყაროდგან იუწყებიან, რომ იაპონია ჩინეთისაგან ხუთ-ექვს მილიონ გირვანქა სტერლინგს თხოულობსო. აღნიშნულია ის ხარჯი, რაც ჩინეთის ექსპედიციას დასჭირდა.

პეკინი. ინსტრუქციით, რომელიც შეერთებულის შტატების მთავრობამ როკგილს გამოუგზავნა, ნაბრძანები აქვს ამ სახელმწიფოს წარმომადგენელს უპირველეს ყოვლისა ეცადოს, რომ მთელი თანხა ჯილდოსი ავიდეს მხოლოდ 40 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე და რომ ეს თანხა თვით სახელმწიფოებმა გაინაწილონ ურთი-ერთ შორის.

პეკინი. საიმედო აღარაა, რომ შვარცგოფი გადარჩენილიყოს. გვამი ვერ იპოვნეს; შეიძლება გვამი სრულიად დაიწვა. რამდენადაც გამოირკვა, გენერალი ერთად-ერთი მსხვერპლი იყო ცეცხლისა. ცეცხლის გაქრობის დროს, ფრანგთა მხურვალე მონაწილეობის წყალობით, ცეცხლმა მხოლოდ ორი ეზოს შენობანი გაანადგურა. საბუთის ქაღალდები გადარჩენილია. ვალდერზეე უვნებელი გადარჩა. მთავარსარდლის სადგომის გარდა დაიწვა ექვსის აფიცრის სადგომები.

კონსტანტინეპოლი. ხვალ სკოპიში იწყობა იმ შვიდ ბოლგარელის საქმის განხილვა, რომელნიც ამ წლის დამდეგს ისტიბში მომხდარ არეულობებისათვის დააპატიმრეს.

ფილიპპოპოლი. როგორც კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან, იქ ამბობენ თურმე, რომ დამადა-მაჰმუდ-ფაშას ორი შვილი ქაირიდგან ევროპაში წავიდნენ ახალგაზდა ოსმალთა კონგრესის მოსაწყობად.

ლონდონი. როგორც კიტჩინერი იუწყება პრეტორიიდგან, ლეიდენბურგიდგან კიტჩინერის გალაშქრების დროს მტერმა ააფეთქა ზარბაზანი „გრძელი ტომიო"; 13 კაცი ტყვედ იქმნა წაყვანილი. ერთმა რაზმმა დეგლასის უფროსობით დაიჭირა დოლსტრომი, ამას იან ექვსი ბური მოკლულ იქმნა. პლუმერმა ბოტფონტეინი დაიჭირა, წაიყვანა ტყვედ 13 კაცი და წაართვა მტერს თოფები და საომარი მასალა. ელლიოტის დივიზიამ დიდძალი საქონელი იყიდა ორანჟეს რესპუბლიკაში.

6 აპრილი

პეტერბურგი. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე პეტერბურგიდგან წავიდა.

ვენა. ჰერცჰერცოგმა ფრანც-ფერდინანდმა, რომელსაც კათოლიკეთა სასკოლო კავშირის მზრუნველობა იკისრა, კავშირის ბიუროს მიმართ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ისეთი მოძრაობა, რომელსაც დევიზათ „შორს რომისაგან" დაუსახავს, ეთანასწორება მოძრაობას „შორს ავსტრიისაგან"; საჭიროა ბრძოლა ამ მოძრაობის წინაამდეგ. ამ სიტყვების გამო დეპუტატთა პალატაში შეეკითხნენ მთავრობას ნემეცთა სახალხო დასის მხრივ, რომლის ორატორიც ჰკიცხავდა ჰერცჰერცოგის სიტყვებს. ორატორის სიტყვებს მთელი ნემეცთა დასი ტაშის ცემით ეგებებოდა, ხოლო „ცენტრი" უკმაყოფილებას აცხადებდა. მინისტრმა კერბერმა განაცხადა, რომ ჰერცჰერცოგის სიტყვებს კერძო ხასიათი ჰქონდა და ამ სიტყვების გამო, კონსტიტუციის ძალით, მთავრობა პასუხის-მგებელი არ არისო. მინისტრის სიტყვამ გამოიწვია კერძო მხარეს ხმაურობა, ხოლო მეორე მხარეს—მოწონების ნიშნები.

ვენა გერმანიის მემკვიდრე პრინცი, გამოემშვიდობა რა იმპერატორს, დღეს წავიდა აქედგან.

ბელგრადი. რადიკალთა და „ნაპრედნიაკთა" ყოფილ დასის მეთაურნი შეთანხმდნენ ახალ კონსტიტუციის დადგენილებათა შესახებ, აგრეთვე ამ დადგენილებათა შემოღებისა და ახალ თვით კონსტიტუციის გამოცხადების შესახებ.

ლონდონი. როგორც გაზეთებს ვაშინგტონიდან ატყობინებენ, მთავრობას აზრადა აქვს დაარსოს ნახშირის საწყობი სადგომები მთელს დედამიწის გარეშემო და მოლაპარაკება აქვს გასამართ სადგურების შესახებ პორტუგალიასთან—აზორის კუნძულებზედ, ჰოლანდიასთან—კიურასოში და ეკუდოროთან—გალაპაგის კუნძულებზედ; სადგურების გამართვის საქმე იოკოგამასთან, აგრეთვე ლაპაზთან უკვე უზრუნველყოფილია.

სოფია. მიხაილეანის მოკვლის საქმის გამომძიებელმა პიტოვსკიმ მოითხოვა, რომ იმასვე მიენდოს ამ საქმის გამო რუმინიაში ბრალდებულთათვის ჩვენების ჩამორთმევა. ეჭვი აქვთ, რომ ბოლგარიის მთავრობამ ეს მოთხოვნილება რუმინიის მთავრობას წარუდგინოს.

მაკედონიის კონგრესი იკვლევს დელეგატთა რწმუნების ქაღალდებს. თუმცა დელეგატთა უკანასკნელ არჩევნების დროს სარაფოვის მომხრეები მოქმედებდნენ, მაგრამ, როგორცა ჰფიქრობენ, ზომიერი ფრაქციები გაიმარჯვებენ.

პეკინი. გენერალ შვარცგოფის გვამი იპოვნეს. ძებნის დროს წააწყდნენ ჯერ ძვლებს, რომელიც გენერალის ძაღლის ძვლები აღმოჩნდა; ჰფიქრობენ, რომ შვარცგოფი თავის ძაღლის გადასარჩენად დაბრუნდა ცეცხლ წაკიდებულ სახლში, სადაც ჭერის კოჭი დაეცა და მოკვდა. გამოძიებამ ვერ გამოარკვია, რომ ცეცხლი განგებ არის წაკიდებული. როგორცა ჰფიქრობენ, ცეცხლი საბუფეტო ოთახის ღუმელიდგან გავრცელებულა; ეს ოთახი მთავარსარდლის სამზარეულოს მახლობლად იყო. ცეცხლის ჩაქრობისა და გადარჩენის დროს თავი ისახელა პოდპოლკოვნიკმა მარშანმა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ხაზინის კანცლერმა ბიუჯეტი წარუდგინა პალატას, ამასთან წინადადება შეიტანა გადიდებულ იქმნას შემოსავლის კვალობაზედ გაწერილი გარდასახადი, შაქრის შემოსატანი ბაჟი, ნახშირის გასატანი ბაჟი და გადადებულ იქმნას ვალების გასტუმრება; ყველა ამით მაინც შეუძლებელი ხდება დეფიციტის—ორმოც მილიონის—გასტუმრება, ამიტომ საჭიროა 60 მილიონ სესხის აღება. საერო ვალი უდრის 688 მილიონს, მიმდინარე წლის შემოსავალი 132; ხარჯი გამოანგარიშებულია 187 მილიონი. ომი დაჯდა 153 მილიონი. ფიქრიც-კი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ ტრანსვაალმა ჯერ-ჯერობით მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ხარჯის გასტუმრებაში. ჩინეთის ექსპედიცია ჯერჯერობით ხუთი მილიონი დაჯდა. გარკორტმა შენიშნა, რომ მთავრობამ ომს ოთხჯერ იმაზედ მეტი ფული მოანდომა, რაც ყირიმის ომს დასჭირდაო. ხარჯი ამ ომის გამო, ეჭვი არ არის, 200 მილიონს აღემატება, შთანთქავს უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში გადადებულ და შენახულ ფულსაო.

პეკინი. ჩინელი, რომელიც კაპიტან ბარჩის მოკვლის გამო დააპატიმრეს, გამოტყდა, რომ კაპიტანი უცხო ქვეყნელთა სიძულვილით მოკვდაო.

შემოწირულება

მცხეთის ტაძრის განსაახლებელ ფონდის გასაძლიერებლად რედაქციამ შვიდი მანეთი მიიღო გიორგი ნიკოლოზის ძის რუსიშვილისაგან.

წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ როგორც ჩემის, ისე ჩემდამი რწმუნებულ ეკლესიის მრევლის მხრივ აზ. ივანე ქუთათელაძეს, რომელმაც ჩვენს სამრევლო სკოლას ოცი მანეთი შემოსწირა, აზ. სიმონ გიორგის ძე ჭყონიას, რომელმაც მოჭედილი სლავიანური სახარება შემოსწირა, ღირებული ხუთ თუმნადა, და აზ. იოანე იესეს ძე შავარდნაძეს, რომელმაც ხუთ მანეთად ღირებული დაფარნები შემოსწირა.

მღვდელი ექადიის წმ. გიორგის ეკლესიისა ვასილი დუმბაძე

7 აპრილს 1901 წელს,
მუშტაიდის ბაღში ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქმნება
სეირნობა.
დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა; ერთი ამათგანი მინგრელიის რაზმის ხოროა. სიურპრიზებად იქმნება: ბოჩკები, კონფეტი დასასრულ გამართული იქმნება მუსიკითა, ფარნებითა, ბენგალის სანთლებითა და მაშხალებით საარული. სეირნობის საყურადღებო მონაწილე იქნება
უზარ-მაზარი იაპონელი.
სეირნობა ნაშუადღევის 3 საათზედ დაიწყება.
(2—91—2)

Литературный, научный и политическій журналъ
„ЖИЗНЬ".
Вышла мартовская книжка журнала.
СОДЕРЖАНІЕ: Омутъ. Психологическая фантазія К. Тетмайера—Трое. (Продолженіе). Повѣсть М. Горькаго.—Какъ возникъ „Заратустра". Е. Ферстеръ-Ницше. Русская кустарная промышленность. (Окончаніе). М. Курчинскаго.—Роза. Стих. въ прозѣ. К. Тетмайера.—Странники. Разсказъ В. Успенскаго.—Джузеппе Верди. П. Г.—Къ аграрному вопросу. Критика критиковъ. П. Маслова.—Изъ міра критическихъ увлеченій. А. Богданова.—Изъ Италіи. Д. Протопопова.—Очерки текущей русской литературы. „Три сестры".—О „Новыхъ пѣсняхъ" Минскаго. Андреевича.—Жили-были. Разсказъ Л. Андреева.—Русскіе живописцы конца XIX вѣка. (Продолженіе). П. Ге.—Изъ пѣсенъ скитальца. Стих. Скитальца.—Трудъ. (Продолженіе). Романъ Эм. Золя. Перев. А. Коморской.—Затерянный. (Изъ Лонгфелло). К. Бальмонта.—Поѣздка въ Манчестеръ. (Письмо изъ Англіи). Д. Сатурина.—Городскіе выборы. (Письмо изъ Саратова). А. В. Панова.—Одна изъ нуждъ земства. (Письмо изъ Торжка). Он.—Библіографія.—Провинціальныя картинки. „Человѣкъ въ футлярѣ", какъ герой нашего времени въ провинціи.—Милые разговоры енисейскихъ думцевъ.—Переполохъ въ г. Барнаулѣ.—Курскія гимназистки въ роли балеринъ.—Инженеры водяные и сухопутные.—Новый бичъ нашихъ путей сообщенія.—Какъ проглотили саратовскаго журналиста г. Марковича.—Какъ опекаютъ китайское имущество въ Благовѣщенскѣ.—Батюшка съ матушкой.—Боязнь „отупѣть", какъ причина бѣгства изъ деревенъ.—Любитель музыки. Евг. Чирикова.—Хроника внутренней жизни. Нѣсколько словъ о голодѣ.—Московскій съѣздъ дѣятелей по начальному народному образованію. И. т. д. Иностранное обозрѣніе. Іезуиты.—Законъ объ ассоціаціяхъ.—Мефистофель и Марта.—Вильгельмъ II и князь Мещерскій.—О тѣлесныхъ наказаніяхъ.—„Новое Время" и Бебель.—Смерть „короля" Штумма.—Статья „Вѣстника Финансовъ".—Правительственное сообщеніе о китайскихъ дѣлахъ.—Парижская корреспонденція „Новаго Времени". В. П.—Иллюстраціи: „Жена рабочаго". Касаткина.—„Бивуакъ казаковъ". Орловскаго.—„Явленіе Христа народу". Иванова.—„Тайная вечеря. Леонардо да Винчи по гравюрѣ Рафаэля Моргена.—„Приказъ объ освобожденіи". Милеза.—„Гадальщицы". Венеціанова.—„Заводъ". Менцеля.—„„Урокъ танцевъ". Вотье.—Портретъ Джузеппе Верди.
Продолжается подписка на 1901 годъ.
Составъ редакціи и постоянныхъ сотрудниковъ остается въ 1901 г. тотъ же, что и въ два предыдущіе года.
Журналъ выходитъ ежемѣсячно книжками въ размѣрѣ отъ 25 до 30 печатныхъ листовъ. Въ каждой книжкѣ помѣщаются иллюстраціи, отпечатанныя на отдѣльныхъ листахъ мѣловой бумаги.
Одна изъ книжекъ журнала 1901 г. будетъ посвящена характеристикѣ XIX столѣтія и будетъ состоять изъ статей по естествознанію, философіи, соціологіи, исторіи, политической экономіи, литературѣ и искусству. Книга будетъ иллюстрирована снимками съ картинъ художниковъ XIX в. и портретами ученыхъ.
Новые подписчики „ЖИЗНИ" 1901 г. получаютъ безплатно начало повѣсти М. Горькаго: „ТРОЕ".
Годовые подписчики получатъ въ 1901 г. въ видѣ безплатнаго приложенія сочиненія Д. Сатурина: „Прошлое, настоящее и будущее Китая".
Подписная цѣна съ доставкой и пересылкой на годъ 7 р.; за-границу 10 р.
Допускается разсрочка годовой платы (7 р.) на слѣдующихъ условіяхъ: или 1) при подпискѣ вносится 2 р., къ 1 марта—2 р. и къ 1 іюля—3 р.; или 2) при подпискѣ—4 р. и къ 1 іюля—3 р.; или 3) при подпискѣ—3 р. и 1 мая—4 р. За границу на полгода—6 руб.
Главная контора и редакція: С-Петербургъ, Знаменская, 20.
Редакторъ-издатель М. С. Ермолаевъ.
(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Апрѣля 1901 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.